

სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო  
კოლეჯი

ხარისხის მართვის უზრუნველყოფის  
სამსახურის დებულება

საქართველო

GSPCPES



თბილისი 2019წ.

## I. ზოგადი ნაწილი

1. სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის ხარისხის მართვის უზრუნველყოფის სამსახურს წარმოადგენს ხარისხის მართვის მენეჯერი.

ხარისხის მართვის მენეჯერი კოლეჯის სასწავლო პროცესის მართვის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად:

- უზრუნველყოფს სწავლების ხარისხის მაღალ დონეს. კოლეჯის სასწავლო პროცესის მართვისა და საქმიანობის დაგეგმვას, განხორციელებასა და შეფასებას;
- ახორციელებს სასწავლო პროცესის სისტემურ შეფასებას და სწავლა/სწავლების საერთაშორისო სტანდარტების დანერგვასა და განხორციელებას;
- ნერგავს და მართავს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების შიდა სისტემას;
- უზრუნველყოფს სტუდენტების სასწავლო პროცესის შეფასების პროცესში ჩართულობას
- უზრუნველყოფს კოლეჯის აკადემიური პერსონალისა და მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლებას.

2. ხარისხის მართვის მენეჯერი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონით „პროფესიული განათლების შესახებ“, მოქმედი კანონმდებლობის, კოლეჯის წესდების, შინაგანაწესის, სასწავლო პროცესის მარგეულირებული წესისა და წინამდებარე დოკუმენტის საფუძველზე.

3. ხარისხის მართვის მენეჯერს ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი.

4. ხარისხის მართვის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა საჯაროა და ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებულ პირისთვის.

## II. ხარისხის მართვის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობის სფერო, მიზნები და ამოცანები

ხარისხის მართვის სამსახური უზრუნველყოფს:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მომზადების, შეფასების, მათში ცვლილებების შეტანისა და განვითარების პროცესის კოორდინაციასა და ხელმძღვანელობას, ასევე, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მოთხოვნებთან მათი შესაბამისობაში მოყვანას.

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგს, გამოკითხვების შედეგების ანალიზს და მათი გაუმჯობესებისათვის რეკომენდაციების შემუშავებას. ამ მიზნით პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ პროგრამებში შემავალი

ცალკეული მოდულების ან/და საგნების შეფასების უზრუნველყოფას. საგანმანათლებლო და სასწავლო პროგრამების, კურსკულუმების, კალენდარული და თემატური გეგმების მუდმივი სრულყოფის კოორდინაციას;

3. სწავლა/სწავლების პროცესის გაუმჯობესების მიზნით გამოკითხვის შედეგების ანალიზსა და საჭირო რეკომენდაციების შემუშავება/გაცემას.

4. საგანმანათლებლო პროგრამების დასრულების შემდეგ ჩარიცხული, სტატუსშეწყვეტილი, სტატუსშეჩერებული და კურსდამთავრებულთა მაჩვენებლის სტატისტიკური ანალიზის გაკეთება.

5. პროფესიული განათლების მასწავლებლების პროგრამების შემუშავებასა და განახლებაში, ავტორიზაციის მიზნებისთვის საჭირო აქტივობებში ჩართულობისა და მონაწილეობის უზრუნველყოფას.

6. პროფესიული საგანმანათლებლო მასწავლებლის საქმიანობის განხორციელებისთვის დაგეგმილი ან/და დასანერგი ცვლილებებისთვის საჭირო შიდა და გარე ტრენინგების ორგანიზებას. საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრების უზრუნველყოფას.

7. სალექციო და შეფასების პროცესზე დასწრება/დაკვირვებას. მასწავლებელთა საქმიანობის მონიტორინგს. მართვის მიზნებისთვის შესაბამისი ფორმების შემუშავება და უკვე არსებულის გაუმჯობესებას.

8. პროგრამის განხორციელების ეტაპზე სტუდენტებისგან მიღებული უკუკავშირის ანალიზსა და რეკომენდაციების შემუშავებას. შეფასების გამჭვირვალე და სამართლიანი პრინციპების დაცვის უზრუნველყოფას.

### III. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

სასწავლო პროცესის ხარისხის შეფასების შიდა მექანიზმი საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების, ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი ძირითადი მექანიზმია და მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველსაყოფად და გასაუმჯობესებლად.

კოლეჯში ხარისხის შიდა უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს ხარისხის მართვის მენეჯერი, რომელიც სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფას ახორციელებს ადმინისტრაციის სხვა თანამშრომლებთან (სასწავლო პროცესის კოორდინატორები, სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი, იურისტი, ადამიანურ რესურსების მართვის მენეჯერი, საქმისწარმოების მენეჯერი) და

პროგრამების ხელმძღვანელებთან / პროგრამის განმახორციელებლებთან კოორდინირებული თანამშრომლობით.

მოდულური პროგრამების დანერგვის მიზნით, დაწესებულებაში ფუნქციონირებს მოდულური პროგრამების დანერგვის შიდა მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის შემადგენლობა და საქმიანობა გაწერილია კოლეჯის დირექტორის შესაბამისი ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტებით.

კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა დაფუძნებულია „დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-განავითარე“ მოდელზე.

სწავლების ხარისხის შეფასების ციკლი დაგეგმე; განახორციელე; შეამოწმე; განავითარე ხორციელდება შემდეგი აქტივობებით::

#### **დაგეგმე:**

კოლეჯის სამოქმედო გეგმაში გაწერილია განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებები. სასწავლო ნაწილის უფროსთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ხდება მიზნების, კომპეტენციებისა და სასწავლო გეგმის განსაზღვრა.

პროგრამების შემუშავების წესის შესაბამისად ხორციელდება პროგრამების შემუშავება. სასწავლო გეგმების საფუძველზე კი ხორციელდება კალენდარული და თემატური გეგმების შემუშავება, რომელსაც ითანხმებს ხარისხის მართვის მენეჯერი. კოლეჯი მუდმივად ზრუნავს პროფესიული მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე, რისთვისაც ხდება მათი მაქსიმალური ჩართულობა სასწავლო პროცესში, სხვადასხვა ტრენინგებში, ასევე, შეფასების მიმართულებებისა და ინსტრუმენტების შემუშავების პროცესებში.

დაგეგმვის ეტაპზე განსაზღვრული მიზნების, კომპეტენციებისა და სასწავლო გეგმის მიხედვით მიმდინარეობს შემუშავებული პროგრამის განხორციელება.

#### **განხორციელე:**

აქტივობების ამ ეტაპზე უკვე დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელება იწყება. შიდა მონიტორინგის ჯგუფი შემუშავებული გეგმის შესაბამისად ესწრება საგაკვეთილო პროცესს, რომელიც გაკვეთილზე დასწრების კითხვარის გამოყენებით აკეთებს მიღებული შედეგების ანალიზს. ასევე ხორციელდება სტუდენტთა დასწრებისა და მათი სასწავლო პროცესში ჩართულობისა და პედაგოგების აქტივობების შემოწმება, რაც შემდეგ აისახება ოქმებში.

განხორციელეს ეტაპზე ასევე მიმდინარეობს სტუდენტების, პედაგოგებისა და ადმინისტრაციის გამოკითხვების ჩატარება, მათი ანალიზი და დაოქმება.

სამუშაო შეხვედრების ორგანიზება პროფესიულ მასწავლებლებთან. სწავლებისა და შეფასების მაღალი სტანდარტებით განხორციელების მიზნით, სწავლის შედეგების შესაბამისი სანდო, ვალიდური, რელევანტური შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება და მისი შეთანხმება ხარისხის მართვის მენეჯერთან.

#### **შეამოწმე:**

სწავლების ხარისხის შეფასება ხდება რამდენიმე გზით:

ა) სტუდენტების სისტემატური გამოკითხვით ფასდება ადამიანური რესურსები, სწავლების მეთოდოლოგია, ინფრასტრუქტურა.

ბ) გამოკითხვის შედეგების ანალიზისა და შესაბამისი რეაგირებით ხდება სწავლების შემგომი სრულყოფის ღონისძიებების დასახვა. პერიოდულად პროგრამის მიმდინარეობის, ბიბლიოთეკის მუშაობის და ა.შ. შემოწმება. ხარისხის გაუმჯობესების მიზნით სასწავლო ნაწილის უფროსი, ხარისხის მართვის მენეჯერი და შიდა მხარდაჭერის ჯგუფის წევრები ახორციელებენ მის კონტროლს.

პროგრამაზე განხორციელებული მონიტორინგით მიღებული შედეგების ანალიზით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს პროგრამის გაუმჯობესებისათვის აუცილებელ რეკომენდაციებს.

#### **განავითარე:**

პროგრამის განხორციელების შეფასების შედეგად კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი შიდა მხარდაჭერის ჯგუფთან ერთად შეიმუშავებს კონკრეტულ რეკომენდაციებს პროგრამის განხორციელების შემდგომი სრულყოფის მიზნით;

ავტორიზაციისა და პროგრამული აკრედიტაციისათვის თვითშეფასების პროცესის უზრუნველყოფა და ორგანიზება;

ხარისხის მართვის მენეჯერი მიერ მომზადებულ დოკუმენტს აქვს სარეკომენდაციო ხასიათი. ამ რეკომენდაციების შესრულება წარმოადგენს კოლეჯის მიზნებისა და ამოცანების, ასევე განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის წარმატებული განხორციელების წინაპირობას.

საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის მიზნით, ცალკეული აქტივობების განსახორციელებლად გამოყენებულია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებული კითხვარები, მაცადინეობებზე დასწრების ფორმები. საგნობრივი პროგრამების შეფასების მიზნით, დაწესებულება იყენებს როგორც კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებულ დოკუმენტაციას (კითხვარებს),

ასევე, ცენტრის მიერ მოდულური პროგრამების დანერგვის მხარდაჭერის მიზნით მოწოდებული დოკუმენტაციის მოდიფიცირებულ ვერსიებს და სხვ.

მეცადინეობებზე დასწრების, კითხვარების ფორმების დამტკიცება არ არის სავალდებულო. ცალკეული კონკრეტული მიზნიდან გამომდინარე, შესაძლებელია შემუშავდეს ერთჯერადი ტიპის ანკეტა/ კითხვარი და სხვა ფორმა.

ხარისხის გაუმჯობესების მიზნით კითხვარის, კვლევის დოკუმენტის ფორმის ინიცირება შეუძლია კოლეჯის სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებით დაინტერესებულ ნებისმიერ პირს ( თანამშრომელს, პროფესიულ სტუდენტს,

#### IV. ხარისხის მართვის მენეჯერი

1. ხარისხის მართვის მენეჯერს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს დირექტორი. ხარისხის მართვის მენეჯერი ანგარიშვალდებულია კოლეჯის დირექტორისა და დირექტორის მოადგილის წინაშე; ხარისხის მართვის მენეჯერი ახორციელებს შემდეგ უფლება-მოვალეობებს.

2. ხარისხის მართვის მენეჯერი უზრუნველყოფს ამ დებულებით განსაზღვრული ყველა ამოცანის შესრულებას;

3. ხარისხის მართვის მენეჯერის ფუნქცია მოვალეობები გაწერილია სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის შინაგანაწესში.

4. ხარისხის მართვის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა პროგრამებთან, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებთან და სასწავლო პროცესთან მიმართებაში ეფუძნება დემინგის ციკლს - PDCA (Plan – დაგეგმე; Do - გააკეთე; Check- შეფასება; Act- გადახედვა/გაუმჯობესება)

#### V. დასკვნითი დებულება

1. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით;

2. დებულება ძალაშია კოლეჯის დირექტორის მიერ მისი დამტკიცების მომენტიდან;

3. დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების მომენტიდან.